

აუდიტორული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების
სამართლებრივი ფორმები საქართველოს ძველი და ახალი
კანონმდებლობის მიხედვით

ნიკოლაიშვილი ნანა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შალვა პაპუაშვილი (ასოცირებული პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: _____ ნანა ნიკოლაიშვილი.

თარიღი: 26.05.2015 წელი

შემოკლებები:

ა.შ - ასე შემდეგ.

გამოც. - გამოცემა.

გვ. - გვერდი.

დოკ. - დოკუმენტი.

ე.ი. - ესე იგი.

ე.წ. - ეგრეთწოდებული.

თარგმ. - თარგმნა.

თბ. - თბილისი.

იხ. - იხილეთ.

მთარგმნ. - მთარგმნელი.

რედ. - რედაქტორი.

სხვ. - სხვა.

ტ. - ტომი.

აბსტრაქტი

აუდიტს დიდი ხნის ისტორია აქვს ძველად დიდ ბრიტანეთში აუდიტს ქალაქებში საჯარო დატარდებდნენ. მას მმართველი თანამდებობის პირები დამოქალაქებზე სწრებოდნენ.

აუდიტი მთავრდებოდა აუდიტორის ანგარიშის მოსმენით,

რომელსაც ხმა მალაკით ხულობდა ხაზინა დარიანგარიშის მოსმენის პრაქტიკა და ინერგა იმასთან დაკავშირებით, რომ ძველ დროში მოსახლეობის უმეტესობა წერაკითხვის უცოდინარი იყო.

თვით ტერმინი „აუდიტი“ ლათინურის ტყვიდან მომდინარეობს და „მოსმენას“ ნიშნავს.

წინამდებარე

სამაგისტრო

ნაშრომის

გამოკვლევის ძირითადი მიზანია აუდიტორული საქმიანობის შესწავლა,

მაჩვენებელთა შეფასება, მათი განზოგადება და აუდიტის ჩატარების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ბაზისის სრულყოფის შემუშავება. იმ საკანონმდებლო ხარვეზების გამოაშკარავება და აღმოფხვრის საჭიროებისაკენ საზოგადოების ყურადღების მიპყრობა, რომელიც იწვევს აუდიტორთა საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების სამართლებრივი ფორმების აღრევას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში სარეგისტრაციო წარმოებისას.